დღეს ტანკისტის დღეა, გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მამაც გუშაგებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 177 (3407)

10

1967 წ. სექტემბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

VII
სუბოტიცა

მოსაგებ პოზიციაში

სუბოტიცა, 9 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე არიან განლაგებულნი:

1. მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, 2. ა. კონარკოვსკა-სოკოლოვა, 3. ტ. შტადლერი (სამივე— იუგოსლავია), 4. ა. არონსონი (აშშ), 5. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), 6. კ. ფრიდმანი (ისრაელი), 7. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), 8. ვ. ნოვარა (გდრ), 9. ვ. კოზლოვსკაია, 10. ა. კისლოვა, 11. ნ. ალექსანდრია, 12. ა. კუშნირი, 13. ტ. ზატულოვსკაია (ყველა — სსრ კავშირი). 14. მ. პერევოზნიკი (რუმინეთი), 15. გ. გრესერი (აშშ), 16. მ. გრატი (ავსტრალია), 17. ვ. ასენოვა (ბულგარეთი), 18. ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია).

ტურნირი მიმდინარეობს სუბოტიცას საქალაქო მუნიციპალიტეტის შენობაში. თამაში იწყება დღის 4 საათზე (თბილისის დროით 19-ზე).

ტურნირში შემოღებულია სამუშაო კვირის ჩვეულებრივი რეგლამენტი: სამი ტური, გადადებული პარტიების დამთავრება, ორი ტური, გადადებული პარტიების დამთავრება და დასვენების დღე.

II ტურში მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა: ზატულოვსკაიამ მოუგო ჰეემსკერკს, გრა·ტმა — არონსონს, ხოლო ნიკოლაუ ყაიმზე შეუთანხმდა გრესერს.

საინტერესოდ წარიმართა ალექსანდრია — კოზლოვსკაიას შეხვედრა. თავიდანვე ინიციატივას დაეუფლა ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც იგი ბოლომდე შეინარჩუნა. პარტია გადაიდო (იხ. დიაგრამა).

როგორც ხედავთ, თეთრებს საგრძნობი პოზიციური უპირატესობა აქვთ. სვლა ჩაიწერა კოზლოვსკაიამ.

ნედელკოვიჩმა პარტია კისლოვასთან უარეს მდგომარეობაში გადადო (I ტურის პარტია ლაზარევიჩთან მას მოგებულ პოზიციაში აქვს შეწყვეტილი). კონარკოვსკას დიდი შრომა დასჭირდება ლაზარევიჩთან ყაიმის მისაღწევად. კუშნირს ნოვარასთან მოსაგები მდგომარეობა აქვს.

2 ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობს ტ. ზატულოვსკაია — 2 ქულა.

კოზლოვსკაია



ალექსანდრია

4:1 ქალების სასარგებლოდ

სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების პარაშუტისტთა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, გაიმართა ამ საზოგადოების სპორტსმენთა ტურნირი მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პარაშუტისტთა ცდები წარმატებით დამთავრდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჟთა გუნდმა (ი. შჩერბაკოვი, ვ. მაკაროვი, ლ. ჩუგრეევი, ე. პოლიაკოვი, ა. ტარასოვი, ს. კუჩენოვი, ა. კუზოვკინი და ვ. გავრილოვი) 1500 მეტრიდან ღამით კომბინირებულ ჯგუფურ ხტომაში დაშვების სიზუსტეზე გააუმჯობესა ამერიკელთა მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა სპორტსმენები ცენტრიდან 1,42 მეტრზე დაეშვნენ.

მსოფლიოს ოთხი რეკორდი დაამყარეს ქალებმა. ჯგუფმა (9 პარაშუტისტი) 1000 მეტრიდან დღისით კომბინირებულ ხტომაში ცენტრიდან საშუალოდ 2,34 მეტრ გადახრას მიაღწია, 1500 მეტრიდან კი — 1,57 მეტრს. 1500 მეტრიდან ღამით ხტომაში ცენტრიდან საშუალოდ 3,11 მეტრი, ხოლო 1000 მეტრიდან 3,70 მეტრი გადახრა აჩვენეს. ორივე ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

დასანანი დამარცხება

რიგა, 9 სექტემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო დღე თბილისელ სპორტსმენებისთვის უიღბლო გამოდგა. მათი მატჩი მოსკოვის „კუნცევოსთან“ დრამატულად წარიმართა. ჩვენებმა სუსტად ითამაშეს დაცვაში, არც შეტევები იყო ნაყოფიერი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მოსკოველთა კარი მრავალჯერ იხსნა ძელმა. პირველ ტაიმში თბილისელთა მთავარი ბომბარდირი ცერცვაძე კარგად „ჩაკეტა“ სოლომკომ. ასევე შესანიშნავად ეთამაშა ანთაძე მაზურს, მაგრამ სხვა წყვილებში თბილისელებმა ვერაფერი გააწყეს მეტოქეებთან. პირველი ტაიმი წავაგეთ — 4:9.

მეორე ტაიმში ცერცვაძე ხშირად უსხლტებოდა თავის დამჭერს სოლომკოს და სახიფათო მომენტებს ქმნიდა მოსკოველთა კართან. თამაშის ბოლო 15 წუთი ჩვენების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. როცა მატჩის დამთავრებას 9 წუთი აკლდა, ანგარიში იყო 12-11 მოსკოველთა სასარგებლოდ. მოსალოდნელი იყო, რომ თამაშში გარდატეხა მოხდებოდა, მაგრამ ამაოდ, მატჩი წაგებულ იქნა — 11:13.

ბოლო დღის დანარჩენ შეხვედრებში ასეთი შედეგები იქნა ფიქსირებული: „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 18:21, ასკ (ბაქო) — მაი (მოსკოვი) 16:21, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (ლვოვი) 22:21, „ბოლშევიკი“ (ლენინგრადი)— ასკ (კიევი) 26:19, „პოლიტექნიკი“ (მინსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 13:18.

პირველი ექვსეულის დასკვნითი მატჩები გაიმართება 12-18 ოქტომბერს თბილისში ან მინსკში.

ჯ. ენუქიძე.

ქვემოთ მოგვყავს პირველი წრის საბოლოო ცხრილი.

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კუნცევო“ (მოსკოვი)	9	2	0	232:176	20
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	8	2	1	247:186	18
„დაუგავა“ (რიგა)	6	0	5	204:216	12
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)	4	4	3	198:188	12
ასკ (ლვოვი)	6	0	5	204:216	12
„პოლიტექნიკი“ (მინსკი)	5	1	5	232:217	11
ასკ (ბაქო)	5	1	5	207:215	11
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	3	3	5	194:198	9
ასკ (კიევი)	3	2	6	199:210	8
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	1	4	6	213:254	6
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	2	1	8	182:216	5
„ბოლშევიკი“ (ლენინგრადი)	2	1	8	194:240	5

ცურვა

იერიში წარმატებით დამთავრდა

მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირისა და გდრ-ის მეგობრული არმიების მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. მასპინძლებმა პირველი დღის პროგრამის ყველა სახეობაში გაიმარჯვეს, სპარტაკიადის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ა. გორდეევმა კი კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა: 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მან 58,4 წამი აჩვენა, რაც 0,1 წამით ჯობია იუგოსლაველ ა. დეპოლის ძველ რეკორდს. აღსანიშნავია, რომ გორდეევმა მანამდე ორჯერ გაიმეორა ევროპის რეკორდი.

ამ შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილე ს. ბელიც-გეიმანმა (მოსკოვი, „დინამო“) 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 2,1 წამით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ახალი რეკორდი 4.11,0-ს უდრის.

უკანასკნელი საათი!

◆ **მოსკოვი,** 9 სექტემბერი. ს. ბელიც-გეიმანმა, რომელიც უკონკურსოდ გამოდიოდა სსრ კავშირისა და გდრ-ის არმიელ მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში, თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში აჩვენა 1.58,2. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.

◆ **ლონდონი,** 9 სექტემბერი. გლაზგოს „სელტიკისა“ და ბუენოს-აირესის „რესინგის“ საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალური მატჩები გაიმართოს 18 ოქტომბერს გლაზგოში და 1 ნოემბერს არგენტინის დედაქალაქში.

◆ **ეგერი,** 9 სექტემბერი. უნგრეთში ტურნე მოგებით დაიწყეს მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. მათ აქ მოუგეს ადგილობრივ „დოჟას“ — 1:0.

◆ **ლივორნო,** 9 სექტემბერი. შესანიშნავად თამაშობს ევროპის თასის გათამაშებაში ასუჯრიან შაშში ჰოლანდიელი დიდოსტატი 17 წლის ტ. სეიბრანდსი. 12 ტურის შემდეგ მას 11 ქულა აქვს: 10 მოგება და 2 ყაიმი (მათ შორის რიგელ ა. ანდრეიკოსთან). II ადგილზეა მოსკოველი ვ. შჩოგოლევი — 10,5 ქულა. III-IV ადგილებს 10-10 ქულით იყოფენ კიეველი ი. კუპერმანი და ანდრეიკო. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 3 ტური.

◆ **პრაღა,** 9 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი პრაღა წამოაყენეს XXII ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სარბიელად. ამ ქვეყნის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ბოსაკმა განაცხადა, რომ პრაღაში უკვე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის პროექტს.

ბევრი გულშემატკივრისთვის უჩვეულო ცერემონიალი მოეწყო ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირის დროს. ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ გაცილება გაუმართა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ივანიცკის. რამდენი ქვეყნის სპორტის მოყვარული მოხიბლულა ამ შესანიშნავი მოჭიდავის ოსტატობით. ა. ივანიცკიმ არ იცოდა თუ რა იყო მარცხი, ყოველთვის გამარჯვებული ტოვებდა დიდ შეჯიბრებათა სარბიელს. და აი, ამაგდარი მოჭიდავე გამოემშვიდობა თავის საყვარელ სპორტის სახეობას, როგორც სპორტსმენი. იმედია, იგი კვლავ იქნება ახალგაზრდა მოჭიდავეთა მაგალითის მიმცემი, მათი კეთილი მრჩეველი.

ა. ივანიცკის გაცილებაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ფოტოკორესპონდენტ მ. ზარგარიანის მიერ გადაღებულ სურათზე თქვენ ხედავთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს დ. ციმაკურიძეს (მარცხნივ), ცნობილ მოჭიდავესა და მწვრთნელს ვ. ილურიძეს, რომლებიც საქართველოს მოჭიდავეთა სახელით სამახსოვრო ჯილდოს გადასცემენ სახელგანთქმულ სპორტსმენს.

ბიჭვინთის 3 ცხოვრება

ზოგი რამ წარსულიდან

ბიჭვინთა თითქოს ფიჭვის მთიდაწაა ნაწარმოები, მაგრამ იმ მიდამოში მთას ვერსად ნახავთ. სამაგიეროდ, ფიჭვი უამრავია. მას აქ 4 კილომეტრამდე სიგრძისა და 700 მეტრი სიგანის ფართობი უკავია. თანაც მსოფლიოში იშვიათი ჯიშისა გახლავთ.

ბიჭვინთა ისტორიკოსთა კვლევის საგანია. მათი სიმარჯვითა და ზოგიერთი ნამარხის წყალობით ცოტა რამ მაინც ვიცით ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დროინდელ ამ ძეგლზე, ზღვაში ჩაძირულ ნაქალაქარზე, რომლის დიდების ერთადერთ უტყუ მოწმეს საკმაოდ მტკიცედ შენახული ტაძარი და გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევებილა შეადგენენ. ტაძარს, რომელსაც თავისი გემოვნებითა და არქიტექტურით დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი, მაღალი კულტურის უტყუარი ბეჭედი აზის.

უძველეს კულტურულ ცენტრში კი უდავოა სპორტის უძველესი სახეობებიც იქნებოდა. კონკრეტულად რა სპორტს მისდევდნენ, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია და სჯობს მის დადგენაზეც ისტორიკოსებმა იფიქრონ, ჩვენ კი მის დღევანდელობასა და მომავალზე ვისაუბროთ.

ალორძინებული ქალაქი

ბიჭვინთა უნდა აშენდეს, ჯანმრთელობის საუკეთესო კერად იქცეს — ასეთი იყო საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება. გაგრიდან 20-დე კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც ამ საუკუნის დასაწყისში პაწაწინა სოფელი იყო, 8 წლის წინ სპეციალური სამშენებლო ტრესტი შეიქმნა — დაიწყეს კურორტ-ქალაქის აგება.

საუკუნეთა განმავლობაში მიძინებული ტყე, რომელსაც ზღვის მშუილის მეტი არაფერი ესმოდა, ტექნიკის გუგუნმა გამოაღვიძა. მაშინ გადაწყდა: თვალისჩინივით მოფრთხილებოდნენ უიშვიათესი ჯიშის ფიჭვებსა და 14-სართულიანი კორპუსებიც ისე დაეპროექტდა, ფიჭნარს ნირიც არ შეცვლია.

სამშენებლო ფრონტი თანდათან გაიზარდა. აქ დასაქმებულთა საერთო რიცხვმა მალე 1600 კაცს გადაამეტა. ბუნებრივია, მათში სპორტის მოყვარულნიც ბევრი გამოდგათ და ფიზკულტურული კოლექტივიც ჩამოყალიბდა... ბურთი გაგორდა, მცირეკალიბრიანი შაშხანა გატკაცუნდა, მერე უბრალო ტიპის სპორტული ნაგებობანიც გაჩნდა. „ბიჭვინთმშენის“ ტრესტის მმართველს ა. ბულიას ფიზკულტურელთა დახმარებაზე არასდროს უთქვამს უარი. — ფიზიკურად ნაწრთობნი, შრომაშიც მამაცნი არიანო, — მას ახლაც ხშირად უყვარს ამის თქმა.

შემდეგ, მშენებელთა დაბაში საშუალო სკოლა ააგეს სპორტული დარბაზით, მოაწყეს ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შექმნეს ფრენბურთის, ფეხბურთის, სიმძიმეების აწევის, ჭადრაკის, ქართული ჭიდაობისა და სხვა სახეობათა სექციები. გაჩაღდა ვარჯიში. როცა მოღონიერდნენ, სამმართველოებსა და უბნებს შორის პირველობები გამართეს, რაიონულ სარბიელზე გავიდნენ და წარმატებებმაც არ დააყოვნა: მშენებელთა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, რომელსაც სათავეში ს. ტოუმასიანი ედგა, შარშან გადაჭარბებით განაღდა ნიშნოსანთა და სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

მეთოდისტი უნარიანად უძღვებოდა საქმეს, მაგრამ ვერ მოზომა. — ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი შარშან თვითნებურად წაიყვანა ხარკოვში, „ტყავის ბურთის“ პრიზზე სასპარეზოდ და... მეთოდისტობიდან გაათავისუფლეს. მაგრამ მისი შემცვლელის გამოძებნა მანამდე არ მოაგონდათ, ვიდრე საქმეში „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ნ. ცანავა არ ჩაერია. კოლექტივი რამდენიმე თვეს უხელმძღვანელოდ იყო. ამიტომაც ისევ ტოუმასიანი უძღვებოდა ფიზკულტურულ მუშაობას. კოლექტივმა არც წლეულს შეირცხვინა თავი. როგორც ნ. ცანავამ გვითხრა, ბიჭვინთელებს უკვე შეუსრულებიათ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა: 5 პირველი, 30 მეორე და 60 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი მოუმზადებიათ.

საიუბილეო წლის ვადამდე განაღდებას შიდასაკოლექტივო ტურნირების მაღალ დონეზე გამართვით მიაღწიეს. მშენებელთა წლევანდელი ტურნირი ფრენბურთსა და ფეხბურთში III სამმართველოს გუნდებმა მოიგეს, ჭადრაკში — II სამმართველოს სპორტსმენებმა აჯობეს ყველას.

უფრო დიდ სარბიელზეც გავიდნენ: ფეხბურთში შარშან გაგრის რაიონის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. აფხაზეთის წლევანდელ სპარტაკიადაში გაგრის რაიონის ქართულ მოჭიდავეთა და ძალოსანთა გუნდები თითქმის მთლიანად აქაური სპორტსმენებისგან შედგებოდა: ორივე სახეობაში მათ II საპრიზო ადგილები მოიპოვეს. არც მოცურავეები (რომლებსაც საცურაო აუზი არ გააჩნიათ) ჩამორჩნენ — „განთიადის“ საოლქო საბჭოს ჩემპიონატში II ადგილი დაისაკუთრეს.

აქაურებმა პირად პირველობაშიც კარგად იასპარეზეს: ძალოსნები — მემონტაჟე სპორტის ოსტატი ვ. შლიომინი და შემდუღებელი პირველთანრიგოსანი გ. როჟკოვი აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო მემონტაჟე ი. შუბითიძემ II ადგილი დაიკავა. ქართულ ჭიდაობაში გ. კოჭლამვილმა ყველა მეტოქე დაჯაბნა, აფხაზეთის სამგზის ჩემპიონი მებეტონე ჯ. ხაჩიძე კი წლეულს II ადგილს დასჯერდა.

ვფიქრობთ, მაგალითად ესენიც კმარა.

მაგრამ სურათი უსრულო იქნება, თუ აქვე არ დავძენთ იმასაც, რომ სპორტსმენები, როგორც წესი, ყოველდღიურ შრომით დავალებებს გადაჭარბებით ანაღდებენ.

— ყველაზე შრომისმოყვარე ფიზკულტურელები მაინც მე-2 სამშენებლო სამმართველოშია, — გვითხრა ტრესტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. ჯანჯღავამ.

ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან აქ მთავარ ინჟინრად სპორტსმენი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. დვალიშვილი მუშაობს. იგი ობიექტზე ვერ ვნახეთ. ბიჭვინთის დასასვენებელი სახლები საექსპლოატაციოდ დიდი ოქტომბრის 50 წლის იუბილეს დაწყებამდე უნდა გადაეცეს, ამიტომაც საგრძნობლად გაიზარდა შრომის ტემპი, ეს კი დამატებით მუშახელს მოითხოვს და დვალიშვილიც იმ დღეს მუშების ჩამოსაყვანად სოჭში წასულიყო. სამაგიეროდ, სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. ოჩიგავამ გაგვიწია მეგზურობა. მუშა-სპორტსმენთა სასახელო შრომითი მაჩვენებლებიც გაგვაცნო.

ჩვენს წინაა შავტუხა, ჩაფსკვნილი ჭაბუკი.

— იცნობდეთ! ძალოსანი შუბითიძეა. დილიდან დაბინდებამდე შრომა უყვარს, მის ნამუშევარს წუნს ვერ დადებ, გეგმებს კი 108-110 პროცენტით ანაღდებსო, — გვითხრა და მერე იქით მიგვითითა, სადაც ფილაქანს აგებდნენ.

— ხომ ხედავთ? ქვას რომ ასწორებს — ძალოსანი შლიომინია. ეგეც ყაირათიანი ბიჭია. გეგმების შესრულებაში შუბითიძეს არ ჩამოუვარდება. მერე ტრესტის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანზე, ქვისმთლელ ვ. გარიუშინზე გვიამბო: მძიმე სამუშაოს მიუხედავად, ყოველდღიურ დავალებას 105 პროცენტით ასრულებსო.

კურორტის ხვალინდელი დღე

სართულს სართული მიყვება, ჩვენც მაღლა მივიწევთ, ბოლო სართულს მივაღწიეთ. აივნიდან ირგვლივ მიმოვიხედეთ. წინ დიდებული პანორამა გადაიშალა. გაგრიდან ტურისტებით დატვირთული ხომალდები მოადგნენ ნაპირს. პლაჟზე მრავალრიცხოვანი არმია მზეს ეფიცხებოდა (პლაჟი ჯერ არაა გახსნილი და ბიჭვინთას მაინც უამრავი სტუმარი ჰყავს). ფიჭვების ფონზე 7-თოთხმეტსართულიანი ცათამბჯენი თეთრად კიაფობდა. შესანიშნავი ნაგებობანია, რომელთა შექმნაზე ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ ქართველები, რუსები, აფხაზები, სომხები, ოსები...

მე-2 სამშენებლო სამმართველოს ობიექტებზე თბილისის № 11 სამხატვრო სასწავლებლის აღსაზრდელთა ერთ ჯგუფს (15 ჭაბუკს) შევხვდით. საწარმო სწავლების ოსტატის ე. თავაძის მეთაურობით ისინი სამაგალითოდ შრომობენ და ქებაც ბევრჯერ დაუმსახურებიათ. მათი ამხანაგები სხვა ობიექტებზე იღვწიან. ცოტა ხანიც გაივლის და შვიდივე კორპუსი პირველ 3 ათას დამსვენებელს მიიღებს.

დავინტერესდით: რა სპორტული ნაგებობანი იქნება დამსვენებელთა განკარგულებაში.

— სტუმრებს შორისაც ხომ უამრავი სპორტის მოყვარული აღმოჩნდება. რით დააკმაყოფილებს ბიჭვინთა მათ მოთხოვნებს? — ვკითხეთ ტრესტის მთავარ ინჟინერს ტ. ჯიქიას.

— ჩვენი სადღეისო ამოცანაა კურორტის პირველი რიგის სამუშაოების დროული დამთავრება — საცხოვრებელი კორპუსებისა და კვების ბლოკების ექსპლოატაციაში სანოემბროდ გაშვება. რა თქმა უნდა, სტუმრების კულტმომსახურებაც არ დაგვავიწყებია. რაც შეეხება სპორტულ ნაგებობებს, ისინი ძირითადად საცხოვრებელი კორპუსებიდან მოშორებით, ფიჭნარს მიღმა, დაბაში იქნება. სპორტული ბაზების ეს სიშორე ფიჭვების დაცვის ღონისძიებამ გამოიწვია. მაგრამ როცა კურორტის კეთილმოწყობა დამთავრდება, ეს სიშორეც გაქრება, ვინაიდან საცხოვრებელ კორპუსებსა და სპორტულ ბაზებს შორის წრიულად, რეგულარულად ივლიან ავტომატარებლები.

მერე მოვაწყობთ სტადიონს ფეხბურთის მინდვრითა და მძლეოსნური სექტორებით, სასროლეთს, საკმაო რაოდენობით ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის მოედნებს. რაც შეეხება საცურაო აუზს გათბობით, მისი მშენებლობა კორპუსებთან მიმდინარეობს და ხალხის სამსახურშიც მალე ჩადგება, — დაამთავრა მთავარმა ინჟინერმა.

აუზი დავათვალიერეთ და სინანულით აღვნიშნავთ, რომ არავითარ სპორტულ ზომებს არ შეეფერება. 27×33 მეტრზე. აი, მისი სიგრძე-სიგანე. ასეთი უზომობის გამო კი სპორტული მუშაობის გაშლა არ მოხერხდება. რა კარგი იქნებოდა, რომ ნორმალური აუზი აეშენებინათ? მაშინ ხომ იგი ბიჭვინთელი მოსწავლე-მოცურავეთა აღზრდის კერადაც გამოდგებოდა.

აღნიშნულთა მიუხედავად, ბიჭვინთის მომავალი ბრწყინვალეა. რამდენიმე წელიც და ამ კურორტის ნახვას, აქ დასვენებას, არაფერი აჯობებს.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბიჭვინთა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ნ. ცანავა (შუაში) ესაუბრება „ბიჭვინთმშენის“ ახალგაზრდებს (მარცხნიდან) — გარიუშინს, შლიომინს, ჯანჯღავასა და ოჩიგავას.

ფოტო ავტორისა.

როგორ ემზადებოდა ნაკრები



ქართული ფეხბურთის ისტორიაზე საკმაოდ დაწერილა, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, თუ ადრინდელი გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილების მეშვეობით მის მდიდარ ისტორიას კიდევ უფრო შევავსებთ და ნათელს მოვფენთ თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბებით.

აი, რას წერდა „ზარია ვოსტოკა“ *1925 წლის აპრილში (№ 845):*

„ფეხბურთი საქართველოში 1921 წლამდე ერთობ ნელა ვითარდებოდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისითაც. 1923 წლიდან ფეხბურთელთა გუნდების რაოდენობა ყველგან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს პროგრესი ძირითადად იმითაც იყო გაპირობებული, რომ პროფესიული კავშირები აქტიურად უჭერდნენ მხარს ფეხბურთის პოპულარიზაციას. 1924 წლისთვის მარტო თბილისში რეგისტრირებული იყო 65 გუნდი, აჭარასა და აფხაზეთში — 12-12, ფოთსა და სენაკში — 3-3 და ა. შ.

საქართველოში ფეხბურთისადმი სიყვარული გაიზარდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში მოეწყო ოლიმპიადა და თბილისში ჩამოვიდნენ ხარკოველი ფეხბურთელები. სპორტულ-ფიზკულტურული კომიტეტის გადაწყვეტილებით სპორტთამაშობათა სექციას დაევალა ფეხბურთის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით 1925 წლის გაზაფხულზე ჩაეტარებინა საქართველოს პირველობა ფეხბურთში“.

მართლაც, 1925 წლის 1 მარტს საზეიმოდ გაიხსნა ეს შეჯიბრება და „ზარია ვოსტოკამ“ 17 მარტის ნომერში აღნიშნა: „დაიწყო წვრთნა და ამხანაგური მატჩები ფეხბურთში“.

დიდ ინტერესს იწვევდა თბილისში ადგილობრივი ფეხბურთელების საქალაქთაშორისო შეხვედრები ძლიერ კოლექტივებთან. ყოველგვარი ხელშეწყობა ჰქონდა ქალაქის ნაკრებს, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ასეთი მატჩები.

12 აპრილს „ზარია ვოსტოკა“ წერდა: „იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში უნდა ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი სათანადო წვრთნის ჩასატარებლად, დანიშნულია თბილისის I და II ნაკრები გუნდების შეხვედრა, რისთვისაც დროებით შეწყდება სხვა შეჯიბრებები“.

გაზეთი აქვეყნებს გუნდების შემადგენლობებს: I ნაკრები — ბაღდოევი, ფრუიძე, როდიონოვი, იმნაძე, ჟორდანია, გონელი, ფილიპოვი, თურქია, კულევიცი, მდივანი, ქებაძე; II ნაკრები — ცომაია, პიტერსკი, ნეგრებეცკი, ბლანკმანი, ბერლინოვი, გევორქოვი, კრავჩენკო, ქოჩაროვი, პევცოვი, რუსიძე, ბლაგოვეშჩენსკი. მატჩს სჯიდა დ. სამუშია.

I ნაკრებს ანგარიშით 3:0 დაუმარცხებია თავისი მოწინააღმდეგე.

ამის შემდეგ თბილისელებთან სათამაშოდ ჩამოსულა ბათუმის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პოპკოვი, ანიკინი, ფალავანდიშვილი და სხვანი. მატჩი მოუგიათ ბათუმელებს ანგარიშით 3:0.

მ. ჩოჩგოლაშვილი.

ტურიზმის მოყვარულთა დასახმარებლად

ტურიზმი ყოველთვის წარმოადგენდა მშრომელთა დასვენების საუკეთესო ფორმას, მაგრამ ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღების შემდეგ მისი გამოყენების პერსპექტივები ერთი-ორად გაიზარდა. ეს გარემოება თავისთავად მოითხოვს ტურისტული ლაშქრობის მოყვარულთა უკეთ შეიარაღებას ლაშქრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ცოდნით.

ამ მხრივ მეტად დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია კ. ასტახიშვილის ბროშურას „ტურიზმი მასობრივი სპორტია“, რომელიც საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“ გამოსცა.

მოგზაურობის მოწყობა, ხელმძღვანელის არჩევა და მისი მოვალეობანი, მოგზაურობის რაიონის შერჩევა, ტურისტული საჭურველ-კაზმულობა, ტურისტის ჯიბის აფთიაქი, რა უნდა იცოდეს მოგზაურმა, — აი, საკითხების ჯგუფი, რომელიც განხილულია ბროშურაში და რომელთა ცოდნა ზედმიწევნით საჭიროა ტურისტული ლაშქრობის ყველა მონაწილისთვის.

ბროშურას თან ერთვის ტურიზმის სათანრიგო ნორმატივების ცხრილი, სიძნელის კატეგორიები და როგორც ერთდღიანი, ისე ორდღიანი მარშრუტების სია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი კ. ასტახიშვილი მალე მკითხველს მიაწვდის მეორე საინტერესო წიგნს — „მთამსვლელობის ხალხური ტრადიციები საქართველოში“, რომელსაც ამზადებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ქ. ბაზელი.

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

3:2

მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „დინამო“ შეხვდა დონეცკის „შახტიორს“.

მატჩის შედეგია 3:2 მოსკოველთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს: მოსკოველთაგან — გუსაროვმა, ჩისლენკომ, კოზლოვმა; დონეცკელთაგან — ლობანოვსკიმ, პილიპჩუკმა.

ფეხ ბურ თი 67

დუბლიორთა მატჩი

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

თბილისის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ბაქოს „ნეფტიანიკი“. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1.

I „ა“ კლასი ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	25	14	10	1	44—15	38
„დინამო“ (კიევი)	24	13	9	2	34—9	35
„დინამო“ (თბილისი)	24	10	9	5	31—20	29
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	24	11	7	6	31—21	29
„შახტიორი“ (დონეცკი)	25	9	10	6	29—29	28
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	23	9	8	6	38—24	26
„დინამო“ (მინსკი)	24	7	12	5	31—23	26
„ტორპედო“ (მოსკოვი)	24	10	5	9	28—29	25
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	23	6	12	5	16—13	24
ასკ (როსტოვი)	24	9	5	10	24—31	23
ცსკა	23	7	8	8	22—25	22
„არარატი“ (ერევანი)	23	7	8	8	21—24	22
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	24	4	12	8	23—29	20
„კაირატი“ (ალმა-ათა)	24	6	8	10	20—33	20
„ზარია“ (ლუგანსკი)	23	5	9	9	16—22	19
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	24	5	8	11	20—27	18
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	24	6	6	12	17—30	18
„ტორპედო“ (ქუთაისი)	24	4	9	11	20—34	17
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	23	5	3	15	16—43	13

II „ა“ კლასი ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კუბანი“ (კრასნოდარი)	30	16	8	6	29—10	40
„დაუგავა“ (რიგა)	30	14	11	5	32—15	39
„დინამო“ (კიროვაბადი)	30	15	9	6	34—20	39
„დინამო“ (ლენინგრადი)	30	15	8	7	39—20	38
„თერგი“ (გროზნო)	30	13	9	8	25—15	35
„რუბინი“ (ყაზანი)	30	13	8	9	28—22	34
„სპარტაკი“ (გომელი)	30	9	15	6	24—21	33
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	30	11	9	10	21—23	31
„მეშახტე“ (ტყიბული)	30	9	12	9	31—27	30
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	30	12	6	12	30—28	20
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	30	10	10	10	23—27	30
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	30	10	10	10	22—27	30
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	30	8	13	9	23—28	29
„დინამო“ (სტავროპოლი)	30	9	11	10	21—31	29
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	30	9	8	13	27—28	26
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	30	8	8	14	30—32	24
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	30	6	11	13	25—32	23
„დინამო“ (ტალინი)	30	7	9	14	23—32	23
„დინამო“ (ბათუმი)	30	6	8	16	20—41	20
„შირაკი“ (ლენინაკანი)	30	4	9	17	18—46	17

„სიცივის პოლუსზე“

ფეხბურთელებმა მიიღეს ინდივიდუალური დავალებანი და გულმოდგინედ შეუდგნენ ბურთით ვარჯიშს. მწვრთნელი ვლადიმერ მესხი მორიგეობით მიდის თვითეულ მათგანთან, გულდასმით უხსნის ილეთის შესრულების დეტალებს, მიუთითებს შეცდომებზე, თვითონაც აჩვენებს ცალკეულ ელემენტებს, ამას გარდა, იგი ყურადღებით ათვალიერებს კარს უკან მდგარ ჭაბუკს და ფიქრობს: „გუშინაც იყო, ეტყობა, უნდა ბურთის თამაში“.

მეცადინეობის შემდეგ მწვრთნელი გაესაუბრა ჭაბუკს:

— თამაშობ?

— ძალიან ცუდად.

ვ. მესხმა აიღო ბურთი და გაუგორა უცნობს:

— აბა, გააჩერე!

ახალბედამ ვერ გააჩერა ბურთი, მაგრამ მწვრთნელმა მაშინვე დაამშვიდა იგი და მოიწვია შემდგომ ვარჯიშზე. ამის შემდეგ ელექტრიკოსი ე. ბრიტვინი ფეხბურთის სექციის მუდმივი დამსწრე გახდა. იგი ენერგიულად და მონდომებით ასრულებდა მწვრთნელის ყველა მითითებას, თუმცა ზოგიერთი დავალების შესრულებას კარგა დიდხანს უნდებოდა.

ვ. მესხს კარგად ესმოდა ახალბედა ფეხბურთელის მდგომარეობა, ვინაიდან საკუთარ კისერზე ჰქონდა გამოცდილი, თუ რა შრომატევადი საქმეა ფეხბურთელის წვრთნა. იგი საკმაო ხნის მანძილზე თამაშობდა ხაბაროვსკის „დინამოში“, ავარჯიშებდა გუნდებს მაგადანში. შორეულ აღმოსავლეთში ყოფნის კეთილ მოგონებად დარჩა მას სამკერდე ნიშანი „კომსომოლსკის საპატიო მშენებელი“.

შემდეგ იგი გაემგზავრა იაკუტიაში, ნამდვილ „სიცივის პოლუსზე“ უსტ-ნერაში, ელექტროსადგურზე სამუშაოდ. ყინვა ზოგჯერ აქ 60 გრადუსს აღწევს. მაგრამ სითბოს შეჩვეული სამხრეთელი კაცის ორგანიზმი შედარებით ადვილად შეეჩვია მას: სპორტმა გააკაჟა ვ. მესხი.

უსტ-ნერაში 8 თვე ზამთარია, მაგრამ როგორც კი დადგება თბილი ამინდები, ვ. მესხს გამოჰყავს თავისი ფეხბურთელები მინდორზე და იწყება ნამდვილი საფეხბურთო სეზონი. მწვრთნელის ტემპერამენტსა და ოპტიმიზმს თავისი გაჰქონდა და ფეხბურთელთა რიგებს სულ უფრო ემატებოდნენ ახალგაზრდები. ჩამოყალიბდა რამდენიმე გუნდი, ამხანაგური შეხვედრები მათ შორის გადაიზარდა ჯერ დასახლების, ხოლო შემდეგ რაიონის პირველობად. და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელთა შორის იყო სწორედ ის ე. ბრიტვინი, რომელმაც პირველად ვერ შეძლო ბურთის გაჩერება. ასე ასწავლა ვ. მესხმა თამაში ე. სმირნოვს, ვ. კლოპოტოვს, ო. კამენევს და სხვებს. „სიცივის პოლუსის“ ფეხბურთელებს ახლა კარგად იცნობენ: მათ აქვთ საუკეთესო ბაზა, ინვენტარი, მოპოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატება სხვადასხვა შეჯიბრებაში.

15 წელია მუშაობს შორეულ იაკუტიაში ვ. მესხი. ქართველი კაცი უშრეტი ენთუზიაზმით ნერგავს ფეხბურთს ჩრდილოეთელთა შორის.

ვ. ნიკოლაევი.

უსტ-ნერა.

სპარტაკიადის შემდეგ —უდიდესი

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დამთავრების მერე ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების სპორტსმენებისთვის ყველაზე დიდი შეჯიბრება გახლდათ ამ საზოგადოების საკავშირო ტურნირი, რომელიც ბათუმში, „სპარტაკის“ აუზში 5 დღეს გრძელდებოდა. ასპარეზობაში 16 გუნდის 300-ზე მეტი მოცურავე მონაწილეობდა.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ფინალები. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ლ. პოგორელოვამ („ბურევესტნიკი“) — 1.06,3, ზედ ფინიშზე აჯობა ნ. მარტინოვას („ტრუდი“). III ადგილი წილად ხვდა ლ. მარტინოვას („ზენიტი“) — 1.06,9. ამავე სტილით ამავე დისტანციაზე ვაჟთა ცურვა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო საერთაშორისო კლასის ოსტატმა, ევროპის რეკორდსმენმა ლ. ილიჩოვმა („ტრუდი“) — 55,8. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. გუსევი — 56.9 და ი. ნიკოლაევი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 57,0.

საინტერესოდ მიმდინარეობდა 100 მეტრზე ბრასით ქალთა ტურნირი. საბოლოოდ გამარჯვება ა. გრებნიკოვას („ბურევესტნიკი“) ხვდა — 1.16,4. თანაგუნდელი ტ. შუმინა მას 4,8 წამით ჩამორჩა. მესამე იყო ლ. დიკარევა („ზენიტი“) — 1.21,6. ვაჟებში ყველას ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრმა ვ. კრავჩენკომ აჯობა — 1.10,8. ნ. პანკინი („ლოკომოტივი“) და ა. ლარიონოვი („ბურევესტნიკი“) მომდევნო ადგილებზე გავიდნენ. მათ შესაბამისად 1.10,9 და 1.11,1 აჩვენეს.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, I ჯგუფში გამარჯვება და გარდამავალი თასი სტუდენტთა საზოგადოების მოცურავეებმა დაისაკუთრეს — 53.884 ქულა. II ადგილზეა „სპარტაკი“ — 44.938, III — „ტრუდი“ — 38.072. II ჯგუფში გაიმარჯვა „მეხნატმა“, „ქალგირისსა“ და „კალევს“ წილად ხვდათ მომდევნო ადგილები.

ო. მურვანიძე.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ტექნიკური შედეგები: ქალები: **100 მ ბატერფლაით ცურვა** — რ. ზორინა („ზენიტი“) — 1.10,8, ლ. კრუტიკოვა („მეხნატი“) — 1.13,2, ლ. მიასოვა („ტრუდი“) — 1.13,6; **100 მ გულაღმა** — ლ. ბურბელე — 1.11,7, ლ. ივანოვა — 1.14,8, რ. კუროჩკინა (სამივე — „ბურევესტნიკი“) — 1.15,6; **200 მ კომპლექსური** — ს. ბაბანინა („სპარტაკი“) — 2.38,1, ლ. კაუნეიტიტე („ქალგირისი“) — 2.47,4, ვ. ტერეხოვა („ავანგარდი“) — 2.51,3; **200 მ თავისუფალი სტილით** — ე. ბელიჩკო („ზენიტი“) — 2.28,1, ლ. სკოცკოვა („ტრუდი“) — 2.28,3, ლ. მარტინოვა — 2.28,6; **200 მ ბრასით** — ა. გრებნიკოვა — 2.49,0, ნ. კისელიოვა („ბურევესტნიკი“) — 2.55,9, ლ. დიკარევა — 2.56,0; **200 მ ბატერფლაით** — რ. ზორინა 2.40,7, ლ. კრუტიკოვა — 2.46,0, ლ. პროპიადშევა („ტრუდი“) — 2.47,9; **200 მ გულაღმა** — ლ. ბურბელე — 2.36,7, ლ. ივანოვა — 2.40,9, ო. ტუპაევა („ტრუდი“) — 2.40,0; **400 მ თავისუფალი სტილით** — თ. სოსნოვა — 5.08,8, ნ. დერგაჩოვა (ორივე — „სპარტაკი“) — 5.12,4, ლ. როვოდინა („ტრუდი“) — 5.13,3; **400 მ კომპლექსური ცურვა** — ლ. მიასოვა — 5.54,8, ლ. კაუნეიტიტე — 6.04,0, ტ. მაქსიმოვა („ავანგარდი“) — 6.06,6; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით** — „სპარტაკი“—4.29,7, „ბურევესტნიკი“ — 4.29,8, „ზენიტი“ — 4.32,3; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ** — „ბურევესტნიკი“ — 4.55,6, „ტრუდი“ — 5.07,3, „სპარტაკი“ — 5.11,0.

ვაჟები: 100 მ ბატერფლაით — ვ. ნემშილოვი („ტრუდი“) — 1.00,7, ა. ბური—1.01,0, ვ. შარგინი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 1.01,0; **100 მ გულაღმა** — ვ. მაზანოვი — 1.02,2, ვ. ფილიმონოვი — 1.02,8, პ. ბუტირისი (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 1.03,9; **200 მ კომპლექსური** — ა. დანილოვი („ტრუდი“) — 2.20,7, ვ. პარტიკა („ავანგარდი“) — 2.20,8, ო. ფოტინი („ბურევესტნიკი“) — 2.20,9; **200 მ თავისუფალი სტილით** — ლ. ილიჩოვი — 2.03,6, ს. გუსევი — 2.07,2, ა. ანარბაევი („ალგა“) — 2.07,8; **200 მ ბრასით** — ვ. კრავჩენკო — 2.33,4, ნ. პანკინი — 2.33,4, ვ. მაკაევი („ტრუდი“) — 2.36,8; **200 მ ბატერფლაით** — ს. კონოვი („მეხნატი“) — 2.13,1, ვ. კუზმინი („სპარტაკი“) — 2.13,3, ს. დიატლოვი („ბურევესტნიკი“) — 2.16,5; **200 მ გულაღმა** — ვ. ფილიმონოვი — 2.16,2, პ. ბუტირისი — 2.18,5, ვ. პალკინი („სპარტაკი“) — 2.19,8; **400 მ თავისუფალი სტილით** — ე. ნოვიკოვი („ბურევესტნიკი“) — 4.30,0, ვ. ბური — 4.31,0, ვ. კონდარი („სპარტაკი“) — 4.34,2; **400 მ კომპლექსური ცურვა** — ა. დუნაევი — 5.03,1, ო. ფოტინი — 5.05,0, ა. ნოვოსელცოვი — 5.09,3 (ყველა — „ბურევესტნიკი“); **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით** — „ბურევესტნიკი“ — 3.48,3, „ლოკომოტივი“ — 3.56,8, „სპარტაკი“ — 4.01,1; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ** — „ბურევესტნიკი“ — 4.10,0, „ტრუდი“ — 4.14,5, „ლოკომოტივი“ — 4.17,8; **ესტაფეტა 4×200 მ თავისუფალი სტილით** — „ბურევესტნიკი“ — 8.51,2, „სპარტაკი“ — 8.52,3, „ავანგარდი“ — 8.58,8.

სახელოვან თაობათა შეხვედრა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისელებთან მატჩამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩვენს დედაქალაქში სავარჯიშოდ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ნაკრები გუნდი. სახელოვან სპორტსმენებს მასპინძლობს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი და პირველი მაისის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია. შეფებმა მრავალი საინტერესო ღონისძიება დაგეგმეს. ნაკრების წევრები თავისუფალ დროს ათვალიერებენ თბილისს, ეცნობიან მის ისტორიულ და რევოლუციურ ადგილებს, ხვდებიან სახელოვან ადამიანებს.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ღონისძიება გუშინწინ გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, — საბჭოთა ნაკრების დელეგაციამ შეხვედრა მოუწყო ძველ ბოლშევიკს, პერსონალურ პენსიონერ ვ. ნადარეიშვილს და სამამულო ომის ვეტერანს პ. პეტრუხინს.

ვ. ნადარეიშვილმა ახალგაზრდებს მოუთხრო საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის რევოლუციურ ტრადიციებზე, საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სამამულო ომის ბევრი ეპიზოდი გაიხსენა და უკვდავ გმირთა სიმამაცეზე ისაუბრა პ. პეტრუხინმა. ვეტერანებმა პასუხი გასცეს სპორტსმენთა შეკითხვებზე. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. პროზუმენშჩიკოვამ მეგობრების სახელით მადლობა გადაუხადა ამაგდარ ადამიანებს შინაარსიანი და საინტერესო შეხვედრისათვის.

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების ნორმალური ვარჯიშისთვის თბილისის ბაზებზე ყველა პირობაა შექმნილი და სპორტსმენებიც კმაყოფილნი არიან. ამ სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა სსრ კავშირის ჩემპიონი ხარკოველი ტ. დევიატოვა თავისუფალი სტილით ცურვაში ამოწმებდა საკუთარ ძალას.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

ღირს თუ არა დავა ცვლილებებზე?

სულ ახლახან ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ვ. მდივნის წერილი „უარი ვთქვათ კუთხურზე“ („ლელო“, 19 აგვისტო), სადაც მოყვანილია სხვადასხვა წლების სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების ციფრობრივი მონაცემები, შედეგები ლაპარაკია გოლების სიმცირეზე, გატანილი ბურთების მიხედვით ქულობრივ სისტემაზე გადასვლის მცდარ შეხედულებაზე. წერილის დასასრულს ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ კუთხური დარტყმა მეტისმეტად ლიბერალური ზომა გახლავთ თანამედროვე ფეხბურთში, რომ თვით ეს სასჯელი და მისგან გამომდინარე შედეგი შორს დგანან ერთმანეთისაგან და უმჯობესი იქნებოდა კუთხური სექტორიდან ბურთის მოწოდების ნაცვლად შემოვიღოთ ბურთის ხელით შემოგდება პირითი ხაზის იმ ადგილიდან, სადაც გავიდა იგი (რასაკვირველია, მეკარის მოედნის საზღვრებს გარეთ).

ოღონდ ეს იდეა — შეიცვალოს კორნერი ბურთის ხელით შემოგდებით — ახალი არაა. უცხოეთის სპორტულ ჟურნალ-გაზეთებში ამ საკითხზე ხშირად აუმაღლებიათ ხმა ცნობილ ავტორიტეტებს. საბჭოთა პრესაშიც (მაგალითად, ჟურნალ „სპორტივნიე იგრიში“) წამოჭრეს საკითხი, რომ ჟამი რეფორმებისა დადგა და საჭიროა თავდამსხმელს უფრო ბასრი იარაღი მივაწოდოთ იმ შემთხვევებში, როცა მისი მოწინააღმდეგე მცველი და მეკარე მხსნელ ტაქტიკურ საშუალებად მიმართავენ კარს უკან ბურთის მოგერიებას. კუთხური მოწოდებით ახლა ვერავის შეაშინებ, ვინაიდან თითო-ოროლა გატანილი გოლი კორნერიდან ათასობით მატჩებში, არცაა სათვალავში ჩასაგდები.

ვ. მდივნის წერილმა გარკვეული ინტერესი გამოიწვია მკითხველთა შორის, რომელთა წერილები საკმაო რაოდენობით შემოდის რედაქციაში. ავტორები მოითხოვენ გადამჭრელ მოდერნიზაციას ფეხბურთის თამაშის წესებში, ამასთან აკრიტიკებენ კოდექსის სხვადასხვა პუნქტს.

თბილისელ მასწავლებელს ზ. დეკანოზიშვილს, მაგალითად, მიაჩნია, რომ „გოლების შიმშილის“ აღსაკვეთად საუკეთესო საშუალება იქნებოდა კარის ზომების გადიდება. სიგრძე მეტი, სიმაღლე მეტი და თავდამსხმელთა ყველა ადრინდელი არაზუსტი დარტყმა უკვე ზუსტი იქნება. მეკარე ვეღარ მიწვდება ბურთს.

ა. ალაფოვი გორიდან გვწერს, რომ საჭიროა შეურიგებელი, პრინციპული ბრძოლა გამოვუცხადოთ დროის გაყვანის ტაქტიკას. მისი წინადადებით უნდა აიკრძალოს ბურთის გათამაშება მცველებსა და მეკარეს შორის და გუნდებისთვის დაწესდეს გარკვეული დრო ბურთის თამაშში შეყვანიდან კარში დარტყმამდე, როგორც ეს კალათბურთშია ახლა.

ვ. სტეფანოვს (თბილისი) პუნქტებად აქვს ჩამოყალიბებული თავისი წინადადებანი. იგი მოითხოვს „თამაშგარე მდგომარეობის“ წესის შეცვლას, კუთხურის მოწოდებისას სავალდებულო ნორმად ბურთის მიღწევას (ან გადაცილებას) საჯარიმო მოედნამდე, საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს 9-მეტრიანი დისტანციის დარღვევისას ბურთის გადატანას კართან უფრო ახლოს და სხვ.

სოხუმელ ო. დარჯანიას ასეთი ცვლილება სურს: არავითარი „კედელი“ საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას. დამნაშავეთა მიმართ აუცილებლად უნდა მიღებულ იქნას მაქსიმალურად მკაცრი სანქციები.

სოღანლუღელი ვ. ბერიძის აზრით, ფეხბურთში ფრე საერთოდ არ უნდა არსებობდეს და ქულები იწერებოდეს გატანილი ბურთების რაოდენობის მიხედვით.

არის სხვა მოსაზრებანიც, მაგრამ ისინი ძირითადად არ განსხვავდებიან ზემოხსენებულთაგან და ამიტომ მათ აღარ მოვიხსენიებთ. საყურადღებოა, რომ ყველა მათგანს ძირითადად ერთი იდეა უდევთ საფუძვლად: ბრძოლა უშედეგო ფეხბურთის, დროის გაყვანის ტაქტიკის წინააღმდეგ, სურვილი — იხილონ ფეხბურთი უფრო საინტერესო, სწრაფი, დინამიური და დაძაბული მომენტებით აღსავსე.

ფიფა-ს საერთაშორისო საბჭომ წესების დარგში სულ ახლახან შეცვალა მე-12 პარაგრაფის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც ეხება მეკარეთა მიერ დროის ხელოვნური გაყვანის საკითხს.

ადრე ეს წესი ასე იყო ფორმულირებული.

„თუ მეკარე ბურთით ხელში გააკეთებს 4 ნაბიჯზე მეტს და არ დაარტყამს ბურთს მიწას, ან დაარტყამს ბურთს მიწას, მაგრამ ამ დროს არ გაუშვებს მას ხელიდან, მოწინააღმდეგე გუნდს ეძლევა თავისუფალი დარტყმის უფლება იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა“.

ახლად რედაქტირებული პუნქტი ასე იკითხება:

ა) თუ მეკარე ბურთით ხელში გააკეთებს 4 ნაბიჯზე მეტს, ამასთან დაარტყამს ბურთს მიწას ან ააგდებს ჰაერში და კვლავ დაიჭერს ისე, რომ არ მისცემს ბურთით თამაშის საშუალებას სხვა მოთამაშეებს, ან:

ბ) მიმართავს ტაქტიკას, რომელიც მსაჯის აზრით მიზნად ისახავს მხოლოდ თამაშის შეჩერებას და იწვევს დროის გაჭიანურებას, რითაც უკანონო უპირატესობას აძლევს თავის გუნდს —

უნდა დაისაჯოს თავისუფალი დარტყმის დანიშვნით, რომელსაც მოწინააღმდეგე გუნდი ასრულებს დარღვევის ადგილიდან“.

ერთი სიტყვით, მეკარე რომ ბურთს ხელში ჩაიგდებს, მის განკარგულებაშია მაქსიმუმი 4 ნაბიჯი. მერე მან თამაშში უნდა შეიყვანოს იგი.

ფეხბურთის თამაშის წესების ეს პუნქტი როგორღაც უცბად, მოულოდნელად შეიცვალა. არც ერთი ქვეყნის ფედერაცია არ მომზადებულა საამისოდ და ამიტომ ეს ცვლილება ძალაშია მხოლოდ ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში. ჩვენს ქვეყამაში „4 ნაბიჯის წესი“ წელს ძალაში არ შევა, ვინაიდან ფეხბურთის ფედერაციას საჭიროდ მიაჩნია სათანადო მზადება გაიარონ მსაჯებმაც და მეკარეებმაც. ჩვენი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, თორემ ინგლისში ეს ახალი წესი მაშინვე დაუყოვნებლივ მიიღეს და ახლა მეკარეების ჩივილმა პრესის ფურცლებს მიაღწია: მათ ჯერ ვერ შეიმუშავეს იმ შემთხვევებისათვის საჭირო ტაქტიკა, როცა 4 ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ხოლო მოწინააღმდეგის თავდამსხმელი ბურთის თამაშში შეყვანის საშუალებას არ იძლევა.

კაცმა რომ თქვას, ამ პუნქტის ასეთი დიფერენცირება მაინცდამაინც არ იყო საჭირო, ვინაიდან მსაჯს ისედაც, ძველი წესების ფარგლებშიც ადვილათ შეუძლია გაარკვიოს მართლა თამაში უნდა მეკარეს, თუ თავს იგდებს და დროის გაჭიანურებისთვის ატრიალებს ხელში ბურთს. ამას ტრიბუნებიდანაც კარგად ხედავს ყველა. მაგრამ, ეტყობა, მსაჯები ყოვლად გაუმართლებელ ლიბერალობას იჩენენ მარტო ჩვენში კი არა, უცხოეთშიც.

ეს არის და ეს ფეხბურთის უმაღლესი ორგანო ჯერჯერობით ჯიუტი კონსერვატიზმის ვზას ადგია როცა ლაპარაკი მიდგება წესებში ცვლილებებზე და არც სურს ნოვატორთა ხმის გაგონება. უკვე ათეული წლებია მიმდინარეობს ძველთა და ახალთა ეს შეურიგებელი ბრძოლა და ტრადიციონალისტები არ აპირებენ „საჯიჯგნად“ გახადონ ფეხბურთის წმიდათაწმიდა კოდექსი.

იმისთვის, რომ ნათელი შევიტანოთ საკითხში, დავეყრდნობით საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ნ. ლატიშევის მონაცემებს (იგი ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტის წევრია), თუ რას ფიქრობენ ფეხბურთის წესებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე უმაღლეს საარბიტრო კომიტეტში.

განსჯის უპირველესი ობიექტია „თამაშგარე მდგომარეობის“ წესი. მისი შეცვლის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ოფსაიდი ამუხრუჭებს შედეგიანობის ზრდას ფეხბურთში, აღარიბებს ტაქტიკას, ზედმეტ შეღავათს აძლევს დაცვას და გარდა ამისა, მსაჯთა შეცდომებისა და გაუგებრობათა უმთავრესი ობიექტია. ეს წესი ერთხელ, 1925 წელს, უკვე შეიცვალა თავდასხმის სასარგებლოდ, ახლა კი მოითხოვენ საერთოდ მის გაუქმებას.

ფიფა-მ ნება დართო მის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს ჩაეტარებინათ შესაბამისი ექსპერიმენტები და შედეგი წერილობით მოეხსენებინათ უმაღლესი ორგანოსთვის, მაგრამ 2-3 თამაშის ჩატარება უოფსაიდოდ საკითხს ვერ გადაწყვეტს. დღემდე მოხდენილ ცდებს თამაშის არსი თითქმის არ შეუცვლიათ და ასეთ მოკლე რეგლამენტში არც შეიძლება ტრანსფორმაცია განიცადოს ფეხბურთის ტაქტიკამ. თამაში ამ ექსპერიმენტალურ მატჩებში მიმდინარეობდა ჩვეულებრივ, როგორც ახლა ჩვენ მას ვუყურებთ, ოღონდ მსაჯი არ აღნიშნავდა „თამაშგარე მდგომარეობას“. მაგრამ წარმოიდგინეთ რა იქნება, როცა გუნდები სპეციალურ ტაქტიკას შეიმუშავებენ და თავიანთ სამოქმედო გეგმას ახალი წესების მიხედვით ააგებენ. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთი საინტერესო კი არ გახდება, პირიქით, ტაქტიკურად გაღარიბდება, დაკარგავს მიმზიდველობას. ფორვარდები იყარაულებენ ზედ კართან, ინადირებენ მეკარეებზე, შუა მინდორი კი „საძოვრად“ გადაიქცევა, ვინაიდან იქ თამაშს არავითარი აზრი არ ექნება და არც არავინ მოცდება ტყუილუბრალოდ.

„თამაშგარე მდგომარეობის“ წესის გაუქმებას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. არის ვარიანტები წესის ნაწილობრივი შეცვლისა (არ ჩაითვალოს ოფსაიდი საჯარიმო მოედნის ფარგლებამდე, თავისუფალი და საჯარიმო დარტყმებისას, როგორც ახლა კუთხური ბურთისა და აუტის მოწოდების დროსაა და სხვ)., მაგრამ ექსპერიმენტები აქაიქ ჩაატარეს და საქმე, ჯერჯერობით, ამით ამოიწურა. სხვათა შორის, თვით ამ წინადადებათა ავტორებიც უკვე ნაკლებად მოითხოვენ წესის შეცვლას, რეფორმატორთა რიცხვი კლებულობს. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოფსაიდის ძველებური განსაზღვრა ძალაში დარჩება.

ეს არის და ეს. ფეხბურთის თამაშის წესებში სხვა რაიმე ცვლილებებზე ფიფა-ში ჯერჯერობით ლაპარაკიც კი არაა. ეტყობა, რეფორმების ერა ჯერ არ დამდგარა.

ბ. ქორქია.

საჭადრაკო მერიდიანებზე

კოპენჰაგენი. დანიის საჭადრაკო ჩემპიონატში გაიმარჯვა ბ. ანდერსენმა. II ადგილი დაიკავა კ. პედერსენმა, III — ო. იაკობსენმა. დიდოსტატ ბ. ლარსენს არ მიუღია მონაწილეობა ტურნირში.

სოფია. ბულგარეთის ღია საჭადრაკო ჩემპიონატში 82 კაცმა ითამაშა. გაიმარჯვა დიდოსტატმა მ. ბობოცოვმა — 8,5 ქულა (10-დან).



ვინიპეგში გამართულ პანამერიკულ თამაშებზე 200 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებისთვის ორი მთავარი მეტოქე—ამ სახეობაში მსოფლიოს რეკორდსმენი კ. კოლბი (აშშ) და მისივე თანაგუნდელი ე. პედერსონი იბრძოდნენ. შეუპოვარმა დუელმა მსოფლიოს ახალი რეკორდი შვა: კოლბმა 2.26,06 აჩვენა. როცა სპორტსმენებმა ასპარეზობა დაამთავრეს, პედერსონმაც კი ვერ დაფარა კოლბის ოსტატობით გამოწვეული აღტაცება და აუზშივე ტაშით მიესალმა მას. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ახალი ამბები

● **ტუნისი**, 9 სექტემბერი. გუშინ აქ დაიწყო და 17 სექტემბრამდე გაგრძელდება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების V თამაშები, რომელშიც ალჟირის, ლივანის, ტუნისის, ლიბიის, მაროკოს, იტალიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების 1400 სპორტსმენი მონაწილეობს. პროგრამაშია სპორტის 13 სახეობა. ტურნირის ფავორიტად თვლიან იტალიელებს, რომლებმაც 1963 წლის თამაშებში, რომელიც ნეაპოლში გაიმართა, 99 მედალი მოიპოვეს. მათ შორის 47 ოქროსი გახლდათ.

● **ვროცლავი**, 9 სექტემბერი. პოლონეთის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ხაიდვეიში. ყველას მასპინძელმა — ა. ვიგლენდმა აჯობა. მეორე ადგილზეც მისი თანაგუნდელი ე. პოგოჟევსკი გავიდა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ი. პლეხანოვს (სსრ კავშირი).

● *ნალჩიკი, 9 სექტემბერი. აქ დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს სპორტული საზოგადოებების პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. გ. ბიჩკოვამ („ტრუდი“) მოიგო სიგრძეზე ხტომა — 612 სმ; 100 მეტრზე ქალთა რბენაში ყველას ზ. რახმატულაევამ აჯობა — 11,9, ვაჟებში კი ვ. ანდრეევმა — 10,6. ჭოკით ხტომაში პირველი იყო ა. მილიუტინი („ავანგარდი“) — 480, 800 მ რბენაში — ვ. მიხაილოვი — 1.58,0, ბადროს ტყორცნაში — ვ. ტრუსენიოვი (ორივე „ზენიტი“) — 56,98.*

● **ვიში, 8 სექტემბერი.** აკადემიურ ნიჩბოსნობაში კონტინენტის ჩემპიონატში ევროპის ქვეყნების გარდა მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა გუნდებიც მონაწილეობენ. ნიჩბოსნობის ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე ამ სახეობაში დიდი ტურნირი აღარ გაიმართება და ამიტომაც ყველას მისცეს ძალთა შემოწმების საშუალება. ნახევარფინალების დამთავრების შემდეგ ფინალში გავიდნენ 14 ქვეყნის სპორტსმენები: გდრ-დან, გფრ-დან და აშშ-დან — 5-5 ნავი, სსრ კავშირიდან — 4, დანიიდან, რუმინეთიდან — 3-3, ჰოლანდიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და შვეიცარიიდან—2-2, აგრეთვე, უნგრეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ავსტრალიისა და იტალიის თითო ნავი. რაც შეეხება 4-ადგილიან მესაჭიან გასაშლელს, ნახევარფინალური ბრძოლები ჯერ არ ჩატარებულა.

ესეც რეკორდია

ბევრისთვის ცნობილია, რომ განთქმულ ავსტრალიელ მძლეოსანს რ. კლარკს გრძელ მანძილებზე რბენაში 6 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის ბოლო 3 წლის მანძილზე რამდენ ტურნირში სცადა მან ძალა და რამდენი კილომეტრი გაირბინა.

ამაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სპორტის სტატისტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე პროფესორი რ. კურჩატანი. მისი მონაცემებით კლარკი 1965 წელს 16 ტურნირში მონაწილეობდა და 78 კმ გაირბინა. 1966 წელს 19 შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა და 125 კილომეტრი დაფარა, წლეულს კი 16 ასპარეზობაში — 70 კილომეტრი. ესეც რეკორდია, ვინაიდან არცერთ სტაიერს ერთ სეზონში ამდენი არ ურბენია.

სხვათა შორის

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ეს ფოტო ჩეხოსლოვაკიის ჟურნალ „სტადიონიდანაა“ ამოღებული. მასზე აღბეჭდილია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრის ერთი მომენტი. მართალია, ტრეკზე შეჯიბრებების დროს იშვიათად ხდება „შეტაკებები“, მაგრამ რასაც ამ სურათზე ხედავთ, დაგვემოწმებით, ნამდვილად ფანტასტიკურია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. დღეს — „დინამო“ (თბილისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. „ლოკომოტივის“ სტადიონი (ვაკე). 12 სექტემბერი. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დაუგავა“ (რიგა). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03365